იჯარის ხელშეკრულება

14 თებერვალი, 2024
თბილისი

მოიჯარე
შპს ავეჯის აკადემია+
დირექტორი - დავით ტურმილაძე
საიდენტიფიკაციო ნომერი: 406259365
იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, სამგორის რაიონი, ახვლედიანის ქ., N 8
ელ ფოსტა: avejisakademia@gmail.com

მეიჯარე
შპს ატლანტ
დირექტორი - იმედა მუმლაძე
საიდენტიფიკაციო ნომერი: 405285070
მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, დასახლება ვაშლიჯვარი, კორპუსი N13ა, ბინა N35
ფაქტობრივი მისამართი: თბილისი, თორნიკე ერისთავის ქ.#27

1. **ხელშეკრულების საგანი**

1.1. მეიჯარე იჯარით გასცემს მოიჯარეზე **2 (ორი) ერთეულ კომერციულ ფართს (მიუხედავად იმისა, რომ მეიჯარე მოიჯარეს გადასცემს ორ ფართს განიხილება, როგორც ერთი ფართი)**:

1.1.1. **ფართი # 1:**

1.1.1.1 **ზონა: თბილისი 01;**

1.1.1.2 **სექტორი: ნაძალადევი 12;**

1.1.1.3 **კვარტალი: 12;**

1.1.1.4 **ნაკვეთი: 002/001;**

1.1.1.5 **კოდი: 01/09/004;**

1.1.1.6 **მისამართი: თორნიკე ერისთავის ქ. #27;**

1.1.1.7 **მესაკუთრე: შპს „ატლანტ“;**

1.1.1.8 **საკუთრების ტიპი: საკუთრება**

1.1.1.9 **საკუთრება: კომერციული ფართი #4 (მშენებარე);**

1.1.1.10 **სართული: 2;**

1.1.1.11 **ფართი: 439.50 კვ.მ.;**

1.1.1.12 **საკადასტრო კოდი: 01.12.12.002.001.01.09.004**

1.1.1.13 **ნასყიდობის საგნის ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან: განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 892023419597 განცხადების რეგისტრაციის თარიღი 19.12.2023;**

1.2 **ფართი # 2**

1.2.1 **ზონა: თბილისი 01;**

1.2.2 **სექტორი: ნაძალადევი 12;**

1.2.3 **კვარტალი 12;**

1.2.4 **ნაკვეთი 002/001;**

1.2.5 **კოდი: 01/09/003, 01/09/001;**

1.2.6 **მისამართი: თორნიკე ერისთავის ქ. #27;**

1.2.7 **მესაკუთრე შპს „ატლანტ“;**

1.2.8 **საკუთრების ტიპი: საკუთრება;**

1.2.9 **საკუთრება: კომერციული ფართი #1 (მშენებარე);**

1.2.10 **სართული 1;**

1.2.11 **ფართი: 481.00 კვ.მ**

1.2.12 **საკადასტრო კოდი: 01.12.12.002.001.01.09.001**

1.2.13 **ნასყიდობის საგნის ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან: განცხადების რეგისტრაციის ნომერი: #892023420083, განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 19/12/2023.**

2. **ხელშეკრულების პირობები**

2.1. ეს ხელშეკრულება ძალაშია წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან **12** თვის განმავლობაში.

2.2. წინამდებარე ხელშეკრულების 1.1 და 1.2 პუნქტებით გათვალისწინებული საიჯარო ფართების გადაცემის თარიღია 2024 წლის 15 თებერვალი.

2.3. საიჯარო ქირის გადახდის ვადის ათვლა იწყება 2024 წლის 1 აპრილიდან. მეიჯარე აძლევს მოიჯარეს საშეღავათო პერიოდს, იმ პირობით რომ მოიჯარე განახორციელებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საიჯარო ფართებში სარემონტო სამუშაოებს და ჩააშენებს საჭირო ტექნიკას/ინვენტარიზაციას მეიჯარესთან წინასწარ შეთანხმებული პირობების შესაბამისად.ამასთან წინამდებარე

ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მხარეები თანმხდებიან, რომ ნებისმიერ შემთხვევაში მოიჯარის მიერ გაღებული რემონტისა და ჩაშენებული ავეჯი, კარები, ვინტილიაცია და ასევე სადებრო სამუშაოების ხარჯები არ ექვემდებარება დაბრუნებას, მოცილებას ხოლო მოძრავი ნივთები: ჭაღები და სხვა სახის განათება, სარეკლამო აბრები და ა.შ. ნივთები რომელთა დაბრუნებაც არ გამოიწვევს საიჯარო ქონების დაზიანებას, ექვემდებარება დაბრუნებას, მოძრავი ნივთები რომელიც ექვემდებარება საიჯარო ქოენების მოცილებას მეიჯარის მოთხოვნის შემთხვევაში, მოიჯარე ვალდებულია გადასცეს (წასყიდობის საფუძველზე) საკუთრებაში მეიჯარეს მოძრავი ნივთები (რომელიც ექვემდებარება საიჯარო ქონების მოცილებას) საინვოისო ღირებულების ნახევარ ფასად და ამასთან გადასცეს მეიჯარეს აღნიშნული ნივთების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტები.

2.4. დაუშვებელია წინამდებარე ხელშეკრულების ვადამდე მოშლა ნებისმიერი მხარის მიერ ცალმხრივად, გარდა წინამდებარე ხელშეკრულებით უშუალოდ გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2.5. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების 2.5. პუნქტის დებულების მიუხედავად რომელიმე მხარე მოშლის წინამდებარე ხელშეკრულებას, მას უპირობოდ დაეკისრება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქცია.

3. საიჯარო ქირა

3.1. წინამდებარე ხელშეკრულების 1.1 და 1.2 პუნქტებით გათვალისწინებული საიჯარო ქონების ყოველთვიური საიჯარო ქირა შეადგენს **10 000 (ათი ათასი) აშშ დოლარის** ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში, გადახდის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად, დღგ-ს გარეშე;

3.2. მოიჯარე აუნაზღაურებს მეიჯარეს საიჯარო პერიოდის პირველი და ბოლო ორი თვის ქირას ჯამში **30 000 (ცოცდა ათი ათასი) აშშ** დოლარს არუგვიანეს 2024 წლის 15 თებერვლის ჩათვლით.

3.3. მოიჯარე ვალდებულია გადაუხადოს მეიჯარეს 3.1 პუნქტით გათვალისწინებული ყოველთვიური საიჯარო ქირა არაუგვიანეს შესაბამისი საანგარიშო თვის დასაწყისში არაუგვიანეს 5 (ხუთი) რიცხვისა.

3.4. იჯარის საფასურის გადახდა უნდა განხორციელდეს შეთანხმებისამებრ უნაღდო ანგარისწორებით,
სს თიბისი ბანკი GE61TB7603336050100002

4. მხარეთა ვალდებულებანი

4.1. მოიჯარე ვალდებულია:

4.1.1. გამოიყენოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონება, მხოლოდ ავეჯის სავაჭრო ობიექტის მოსაწყობად.

4.1.2. დაიცვას სისუფთავე უძრავ ქონებაში და დაიცვას მეიჯარის ქონება დაზიანებისა და განადგურებისაგან;

4.1.3. ხელშეკრულების შეწყვეტისას მეიჯარეს ჩააბაროს უძრავი ქონება, მთელი მეიჯარის ქონებით ისეთივე მდგომარეობაში, რომელიც მისგან მიიღო, ნორმალური ცვეთისა და ფორს-მაჟორის შედეგად გამოწვეული ზიანის გათვალისწინებით;

4.1.4. შეატყობინოს მეიჯარეს:

4.1.4.1. ნებისმიერი დაზიანების ან შეკეთების სურვილის თაობაზე:

4.1.4.2. საკუთარი რესურსითა და ხარჯით აღმოფხვრას ნებისმიერი სახის ზიანი/ზარალი/ნაკლი რომელიც წარმოიშვა საიჯარო პერიოდში.

4.1.4.3. ნებისმიერი სახით შეტყობინებების ან წერილების შესახებ, რაც შემოსულია უძრავ ქონებაში ან მოიჯარესთან, უძრავი ქონების შესახებ ან უძრავი ქონებით სარგებლობასთან დაკავშირებით მოიჯარე ვალდებულია მიაწოდოს ან აცნობოს მეიჯარეს აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია.

4.1.5. დროულად და დაუყოვნებლივ გადაიხადოს ყველა კომუნალური მომსახურების საფასურები, უძრავ ქონებაში მოხმარებული ინტერნეტის, ელექტროენერგიის, გაზისა და წყლის გადასახადების ჩათვლით;

4.1.6. დროულად და დაუყოვნებლივ გადაიხადოს ტელეფონის სააბონენტო გადასახადი და ასევე სხვა სახის გადასახადებიც, მათ შორის საერთაშორისო თუ საქალაქთაშორისო (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

4.1.7. უზრუნველყოს უძრავი ქონების გამართულობა და კარგი პირობები და დაუყოვნებლივ შეაკეთოს ან გამოცვალოს იგივე სახის ან ღირებულების ნივთებით მეიჯარის ქონების ის ნივთები, რომლებიც იჯარის პერიოდში შეიძლება განადგურდეს, დაიკარგოს, გატყდეს ან დაზიანდეს მოიჯარის მიზეზით.

4.1.8. მოიჯარე ვალდებულია გადაიხადოს საიჯარო თანხა ხელშეკრულების მესამე მუხლის მიხედვით და შეასრულოს ამ ხელშეკრულების პირობები, მოიპოვოს მეიჯარის წინასწარი თანხმობა სამშენებლო ან სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად და გაუფრთხილდეს უძრავს ქონებას ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

4.2. მოიჯარე უფლებამოსილია:

4.2.1. გამოიყენოს იჯარის ობიექტი ოფისის მოსაწყობადსაქართველოს კანონმდებლობით ნებადართული საქმიანობისთვის, იჯარის მთელი პერიოდის მანძილზე;

4.2.2. იმ შემთხვევაში, თუ მოიჯარის მიერ ნებისმიერ ქმედებას მოიჯარის მხრიდან შედეგად მოჰყვა მეიჯარის პირდაპირი ან/და არაპირდაპირი ზიანი/ზარალი, ჯარიმა, ადმინისტრაციული სახდელი ან/და სხვა სახის პასუხისმგებლობა, მოიჯარე სრული მოცულობით პასუხისმგებელია მესამე პირებისა და მეიჯარის წინაშე);

4.2.3. მეიჯარის დამატებითი წერილობითი თანხმობით ჩაატაროს სარემონტო სამუშაო, დაამონტაჟოს მოწყობილობა, განახორციელოს სამუშაო იჯარის ობიექტში, რასაც საჭიროდ მიიჩნევს მისი კომერციული მიზნების განსახორციელებლად. (იმ შემთხვევაში, თუ ამ პუნქტით განსაზღვრულ ნებისმიერ ქმედებას მოიჯარის მხრიდან შედეგად მოჰყვა მეიჯარის პირდაპირი ან/და არაპირდაპირი, ზიანი/ზარალი, ჯარიმა, ადმინისტრაციული სახდელი ან/და სხვა სახის პასუხისმგებლობა, მოიჯარე სრული მოცულობით პასუხისმგებელია მეიჯარისა და მესამე პირების წინაშე);

4.2.4. მეიჯარის წინასწარი თანხმობის გარეშე გასცეს იჯარის ობიექტის ნებისმიერი ნაწილი ქვეიჯარით (ასეთ შემთხვევაში მეიჯარის წინაშე ქვემოიჯარის ქმედებებსა და მისგან გამომდინარე შედეგებზე, სრულად პასუხისმგებელია მოიჯარე) მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ იჯარის ობიექთი გამოყენებული იქნება მხოლოდ ავეჯის სავაჭრო ობიექტის მოსაწყობად.

4.2.5. უზრუნველყოს ობიექტის დაცვა (საკუთარი შეხედულებისამებრ პირადად ან/და მესამე პირების მეშვეობით).

4.3. მეიჯარე ვალდებულია:

4.3.1. გონივრულ ვადაში გააფრთხილოს მოიჯარე უძრავი ქონების მდგომარეობის შემოწმების ან ნებისმიერი სარემონტო სამუშაოს ჩატარების სურვილის შესახებ.

4.3.2. არ ჩაერიოს მოიჯარის მიერ იჯარის ობიექტით კანონიერად სარგებლობაში;

4.3.3. ხელი შეუწყოს მოიჯარის მიერ იჯარით აღებული ქონების სარგებლობას და გამოყენებას;

5. ხელშეკრულების შეწყვეტა

5.1. არც ერთი მხარე არ არის უფლებამოსილი შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება მისი ვადის ამოწურვამდე, თუ ამგვარი უფლება პირდაპირ არ არის გათვალისწინებული ამ იჯარის ხელშეკრულებით ან საქართველოს კანონმდებლობით;

5.2. მეიჯარე უფლებამოსილია შეწყვიტოს იჯარის ხელშეკრულება ვადამდე, თუ:

5.2.1. მოიჯარე არ იხდის საიჯარო ქირას დროულად და არ დაფარავს დავალიანებას მეიჯარის წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში; ამ შემთხვევაში ხელშეკრულება წყდება ზემოთ მითითებული ვადის გასვლისთანავე, დაუყოვნებლივ;

5.2.2. მოიჯარე ახორციელებს კანონით აკრძალულ ან ამორალურ საქმიანობას იჯარის ობიექტში და არ გამოასწორებს ამგვარ ქმედებას მეიჯარის წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 5 (ხუთი)კალენდარული დღის განმავლობაში; ამ შემთხვევაში ხელშეკრულება წყდება ზემოთ მითითებული ვადის გასვლისთანავე, დაუყოვნებლივ;

5.2.3. თუ მოიჯარე ვერ ასრულებს მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულებას ფორსმაჟორული (რომელიც დადასტურებულია შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ) გარემოებების გამო იგი ვალდებულია აცნობოს მეიჯარეს დაუყოვნებლივ. იმ შემთხვევაში, თუ ფორ-მაჟორული გარემოებები გაგრძელდება 45 (ორმოცდახუთი) დღეზე მეტი ვადით ხელშეკრულება შეწყდება ავტომატურად. აღნიშნულ ვადაში მოიჯარე თავისუფლდება ქირის აგდახდის ვალდებულებისგან.

5.2.4. მიუხედავად ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა, მოიჯარე შეცვლის იჯარის ნებისმიერ არსებით პირობას. ამ შემთხვევაში ხელშეკრულება წყდება შეწყვეტის თაობაზე მეიჯარის წერილობითი შეტყობისთანავე, დაუყოვნებლივ.

5.2.5. ნებისმიერ დროს, 2 (ორი) კალენდარული თვით ადრე მოიჯარის გაფრთხილების საფუძველზე, ასეთ შემთხვევაში მეიჯარეს არ ეკისრება რაიმე სახის პირგასამტეხლო.

5.3. მოიჯარე უფლებამოსილია ვადამდე შეწყვიტოს იჯარის ხელშეკრულება, თუ:

5.3.1. იჯარის ობიექტი, მისგან დამოუკიდებელი მიზეზით, გამოუსადეგარი გახდება სარგებლობისთვის შენობის ფიზიკური მდგომარეობის ან იურიდიული სტატუსის გამო. ამ შემთხვევაში ხელშეკრულება წყდება შეწყვეტის თაობაზე მოიჯარის წერილობითი შეტყობისთანავე, დაუყოვნებლივ;

5.3.2. ფორს-მაჟორული (რომელიც დადასტურებულია შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ) გარემოებები, რაც აყოვნებს მოიჯარის მიერ იჯარის ობიექტით სარგებლობას 45 (ორმოცდახუთი) დღეზე მეტი დროის პერიოდით;

5.3.3. თუ მეიჯარე შეწყვეტს ხელშეკრულებას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევით დაეკისროს მოიჯარის სასარგებლოდ 2 (ორი) თვის იჯარის თანხის გადახდა ჯაირიმის სახით.

5.3.4. იმ შემთხვევაში, თუ მოიჯარე შეწყვეტს იჯარის ხელშეკრულებას ან დაარღვევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ განცხადებებსა და გარანტიებს ის უპირობოდ გადაუხდის მეიჯარეს პირგასამტეხლოს საიჯარო ქირის ერთმაგი ოდენობით, ამასთან მოიჯარეს არ უბრუნდება წინასწარ გადახდილი ქირა და წინასწარ გადახდილი ბოლო ორი თვის ქირის საფასური.

5.4. მოიჯარე ვალდებულია დაცალოს იჯარის ობიექტი ხელშეკრულების შეწყვეტიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ მოიჯარეს დაეკისრება საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულება.

5.5. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში, მოიჯარე ვალდებულია იჯარის საგანი, ექსპლუატაციისათვის ვარგის მდგომარეობაში ან იმავე მდგომარეობაში, როგორშიც მიიღო, დაუბრუნოს მეიჯარეს, დაბრუნებისას მხარეები შეადგენენ შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტს.

5.6. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში იჯარის საგნის მოუცილებელი საგანი და გაუმჯობესებანი რჩება მეიჯარეს ყოველგვარი კომპენსაციის გადახდის გარეშე.

6. მოვალეობანი და კომპენსაცია

6.1. მხარეები პასუხს აგებენ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა სრულ და ჯეროვან შესრულებაზე.

6.2. ის მხარე, რომელიც არ შეასრულებს ამ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს (დამრღვევი მხარე), ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს ნებისმიერი ზიანი, მოვალეობა, ხარჯი ან მოთხოვნა, რომელიც მეორე მხარეს შეიძლება წარმოეშვას ან წარედგინოს ამ ხელშეკრულების პირობათა დამრღვევი მხარის მიერ შეურულებლობის შედეგად. (ამგვარი შეუსრულებლობის გამომწვევ მიზეზთა მიუხედავად).

7. ფორს-მაჟორი

8.1. არც ერთი მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევა ან შეუსრულებლობა არ გამოიწვევს ამ მხარის წინააღმდეგ მოთხოვნის წარმოშობას და არ განიხილება წინამდებარე ხელშეკრულების დარღვევად, თუ ეს დარღვევა ან შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს მაჟორული გარემოებით, რომლის წინასწარ განჭვრეტა ან თავიდან აცილება მოცემულ მხარეს არ შეეძლო გონივრული ზომების მიღებით. ეს განსაკუთრებული გარემოებები მოიცავს: წყალდიდობას, ხანძარს, მიწისძვრას და სხვა, სტიქიურ უბედურებას, აგრეთვე ომს, სამხედრო მოქმედებას, გაფიცვას, აჯანყებას, სამთავრობო მოქმედებებს ან სხვა მსგავს ხდომილებებსა თუ მოქმედებებს.

8.2. მხარე, რომელიც ვერ ასრულებს თავის ვალდებულებას ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის გამო, გათავისუფლდება ვალდებულებების შესრულებისაგან მხოლოდ იმ ზომით, რამდენადაც ფორს-მაჟორული გარემოება ხელს უშლის მის მიერ ვალდებულებების შესრულებას.

8.3. მხარეს, რომელმაც ვერ შეასრულა ვალდებულება ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის გამო, გონივრულ ფარგლებში გაუგრძელდება ვადა ამ ვალდებულებების შესასრულებლად.

8. სადავო საკითხების მოგვარება და კონფიდენციალურობა

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

8.2. ნებისმიერი სადავო საკითხი ან უთანხმოება, რომელიც წამოიჭრება მხარეთა შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, წარედგინება საქართველოს სასამართლოებს, თუ ვერ განხორციელდა მხარეთა ურთიერთშეთანხმებით მისი გადაჭრა.

8.3. თითოეული მხარე კისრულობს ვალდებულებას დაიცვას ამ ხელშეკრულების ფარგლებში მეორე მხარისაგან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია და არ გაუმჟღავნოს ამგვარი ინფორმაცია მესამე პირებს (გარდა მხარის თანამშრომლების, ფინანსური, საგადასახადო, სამართლებრივი თუ სხვა კონსულტანტებისა, ასევე მხარესთან დაკავშირებული პირებისა, თუკი ამგვარი გამჟღავნება ხდება კონფიდენციალობის დაცვის პირობით). ამასთან, თითოეულ მხარესთან მიმართებით, კონფიდენციალურია ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ ამ მხარეს შეიძლება მიაყენოს რეპუტაციული ან სხვაგვარი მატერიალური ზიანი. ამ პუნქტის დებულებები არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როცა მხარეს მოეთხოვება ინფორმაციის გამჟღავნება კანონით ან სასამართლოს ძალით. ამ პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისათვის, დამრღვევი მხარე ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს დარღვევით მიყენებული ზიანი, როგორც ფაქტობრივად დამდგარი ზიანის, ისე მიუღებელი შემოსავალის სახით.

9. დასკვნითი დებულებები

9.1. ეს ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობით.

9.2. ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა გადაწყდება მხარეებს შორის მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა შეიძლება გადაწყდეს სასამართლოსთვის მიმართვის გზით.

9.3. თითოეული მხარე კისრულობს ვალდებულებას დაიცვას ამ ხელშეკრულების ფარგლებში მეორე მხარისაგან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია და არ გაუმჟღავნოს ამგვარი ინფორმაცია მესამე პირებს (გარდა მხარის თანამშრომლების, ფინანსური, საგადასახადო, სამართლებრივი თუ სხვა კონსულტანტებისა, ასევე მხარესთან აფილირებული პირებისა, თუკი ამგვარი გამჟღავნება ხდება კონფიდენციალობის დაცვის პირობით). ამასთან, თითოეულ მხარესთან მიმართებით, კონფიდენციალურია ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ ამ მხარეს შეიძლება მიაყენოს რეპუტაციული ან სხვაგვარი მატერიალური ზიანი. ამ პუნქტის დებულებები არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როცა მხარეს მოეთხოვება ინფორმაციის გამჟღავნება კანონით ან სასამართლოს ძალით.

9.4. დაუშვებელია წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულების შეცვლა, მოდიფიცირება, უარყოფა, გაუქმება ან შეწყვეტა მხარეთა წერილობითი თანხმობის გარეშე, ასევე დაუშვებელია ნებისმიერი დარღვევის უარყოფა ან მასთან დაკავშირებით პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება იმ მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე, რომელსაც არ დაურღვევია ხელშეკრულება.

9.5. თუ დროის ნებისმიერ მონაკვეთში წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება მიიჩნევა ძალადაკარგულად ან უკანონოდ, ამგვარი ძალადაკარგულობა ან უკანონობა გავლენას არ იქონიებს ხელშეკრულების, იურიდიულ ძალასა ან კანონიერებაზე. მხარეები ასევე შეთანხმდნენ, რომ ისინი ყველა მიზანშეწონილ ზომას მიიღებენ, რათა შეიტანონ ცვლილებები ამგვარ ძალადაკარგულ დებულებებში ან შეცვალონ ისინი მსგავსი შინაარსის იურიდიული ძალის მქონე დებულებებით ხელშეკრულების მიზნისა და განგრძობადობის შენარჩუნების მიზნით.

9.6. წინამდებარე ხელშეკრულების დანართები წარმოადგენენ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

9.7. ხელშეკრულებას ხელი მოეწერა ქართულ ენაზე.

9.8. თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ან/და დებულების გაბათილება არ მოახდენს ზეგავლენას როგორც მთლიანი ხელშეკრულების, ასევე მისი ნებისმიერი სხვა პუნქტის იურიდიულ ძალასა თუ ნამდვილობაზე.

9.9. ამ ხელშეკრულების ყველა დანართი და ცვლილება წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. რაც მხარეებმა დაადასტურეს ხელმოწერით. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად, ქართულ ენაზე და ძალაშია მისი ხელმოწერისთანავე. 1 (ერთი) ეგზემპლარი გადაეცემა მეიჯარეს, 1 (ერთი) ეგზემპლარი გადაეცემა მოიჯარეს.

მხარეები აცხადებენ, რომ ისინი სრულყოფილად იცნობენ ხელშეკრულების შინაარსს, მიღებული აქვთ აუცილებელი განმარტებები და თანახმა არიან მის პირობებზე.

ხელშეკრულების პირობებზე თავისი თანხმობის დასტურად, მხარეებმა ხელი მოაწერეს წინამდებარე ხელშეკრულებას ზემოთ აღნიშნულ დღესა და წელს.

(მეიჯარე): ---

(მოიჯარე): ---